საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 12126/01
25/11/2021

12126-01-2-202111251452

შპს „მრეწველობა 2020“-ის დირექტორს
ბატონ არჩილ გოგინაშვილს
მის: გურჯაანის მუნიციპალიტეტი,
სოფ. ველისციხე, 42–ე ქ., N 2
ელ. ფოსტა: u.kachlishvili@gmail.com;
d.makashvili62@gmail.com

ბატონო არჩილ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 28 ოქტომბრის N19289 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხეში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა-ექსპლუატაციას და გაცნობებთ შემდეგს:

- სკრინინგის განცხადებაში, კერძოდ 5.9 თავში („ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობაზე“) აღნიშნულია, რომ სამსხვრევ-დამახარისხებელი საამქროს ყველა დანადგარი დამონტაჟებულია ღია ცის ქვეშ და პროდუქციის წარმოების მართვა ხორციელდება საოპერატოროს დახურული კაბინიდან. ამასთან, სკრინინგის განცხადების თანახმად, დაგეგმილია საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია, მათ შორის, განხილულია სამშენებლო და ტექნოლოგიური დანადგარების მოწყობითი სამუშაოები. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობა, მათ შორის მოწყობილია თუ არა მანქანა-დანადგარები;
- გარდა ამისა, მდ. ჭერმისხევი განეკუთვნება ტიპურ ღვარცოფულ წყალსადინარს, რაც გათვალისწინებული უნდა იქნს საწარმოს პროექტირების და მოწყობა-ექსპლუატაციის პერიოდში, ხოლო აღნიშნული საკითხი ასახული უნდა იყოს სკრინინგის განცხადებაში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო სკრინინგის გადაწყვეტილების მიღების მიზნით იმსჯელებს მითითებული შენიშვნების შესაბამისად შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე